HR hub

StudentJob.ge

JOB FEST 2017

გაიცანი გაეცანი იპოვე

სტუდენტური საზაფხულო დასაქმების ფესტივალი

#HRhubLovesYou

HR hub და Studentjob.ge თქვენთვის უნიკალური პროექტების შემოთავაზებას განაგრძობს და საქართველოში პირველად, მხარდამჭერ ორგანიზაციებთან და კომპანიებთან ერთად, სტუდენტურ საზაფხულო დასაქმების ფესტივალს ატარებს.

www.studentjob.ge-ისა და HR hub-ის მიერ ინიცირებული სტუდენტური საზაფხულო დასაქმების ხელშეწყობის ფესტივალი-პროგრამა "Job Fest 2017" თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე 25 ივნისს გაიმართება.

პროექტის მხარდამჭრები არიან: საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი და სტუდენტური დასაქმების ხელშეწყობის საკითხთან დაკავშირებული სხვადასხვა უწყებები, როგორიცაა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, ასევე პროექტი – "ახალგაზრდების სამეწარმეო უნარ-შესაძლებლობების, დასაქმებისა და შემოსავლის გენერირების მხარდაჭერა საქართველოში" (YES – Georgia).

JOB fest 2017-ის დეტალები:

პროექტის დასახელება: **JOB fest**

ადგილი: **ვაკის პარკი**

თარიღი: **25 ივნისი;** ფესტივალი ერთ დღიანია, გაგრძელდება 4 საათის განმავლობაში. <u>თუ ადგილი ან თარიღი შეიცლება შეგატყობინებთ.</u>

ფესტივალის მიზანი/ამოცანა:

1. სტუდენტების და დამსაქმებლების დაკავშირება, პირდაპირი კომუნიკაცია და დასაქმება/სტაჟირების ხელშეწყობა;
2. დამსაქმებლის ბრენდის ცნობადობის გაზრდა ახალგაზრდების სეგმენტში;
3. პროფესიული განათლება-დასაქმების პოპულარიზაცია;
4. სტუდენტებთან საუბარი მათი განვითარებისთვის საჭირო და საინტერესო თემებზე როგორიცაა, წარმატება, მოტივაცია, თვითგანვითარება და მიზნის დასახვა.

პროექტის აღწერა: JOB fest 2017 არის სტუდენტური საზაფხულო დასაქმების ხელშეწყობის ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 100-მდე დამსაქმებელი და ახალგაზრდები, უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები და ახლად კურსდამთავრებულები (ასაკობრივი სეგმენტი: 18 დან 29 წლამდე) მთელი საქართველოს მასშტაბით.

"Job Fest 2017" მიზნად ისახავს დამსაქმებლების და ახლგაზრდების დაკავშირებას, დასაქმებისა და სტაჟირების ხელშეწყობას. ასევე, დამსაქმებლის ბრენდის ცნობადობის გაზრდას ახალგაზრდების სეგმენტში და სტუდენტებისთვის სტაჟირების და დასაქმების ხელშეწყობას საზაფხულოდ, თუმცა შესაძლებელია ზოგიერთმა კომპანიამ გრძელვადიანადაც გადაწყვიტოს შერჩეულ ახალგაზრდებთან თანამშრომლობა. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებს 100-მდე კომპანია.

JOB fest -ის პროგრამა-განრიგი

ფესტივალის პროგრამა მრავალფეროვანია. კომპანიები თავისი ბრენდირებული მასალით და ბანერებით, წარმოდგენილი იქნებიან ღონისძიებისთვის სპეციალურად განთავსებულ კარვებში (კარვებს, მაგიდებსა და სკამებს უზრუნველვყოფთ ჩვენ. თქვენ კი, კომპანიის კარვის მოწყობა თქვენი შეხედულებისამებრ შეგეძლებათ კომპანიის სიმბოლიკით სხვადასხვა სტენდებითა თუ გაფორმებებით). ფესტივალის ბოლოს გამოვლინდება ყველაზე კრეატიულად და საინტერესოდ მოწყობილი კარვის მფლობელი კომპანია, რომელიც დაჯილდოვდება სიმბოლური პრიზით. თითო კარავში განთავსდება 2 კომპანია.

გარდა ამისა, პარკის ერთ ნაწილში მოწყობილ სივრცეში იქნება ორი, სხვებისგან განსხვავებული დიდი ზომის ტენტი (კარავი), რომელსაც ეწოდება - **„წარმატების კუთხე“.** აქ 2-3 საათის განმავლობაში შესაძლებელი იქნება, სპეციალური ლექციების/სემინარების მოსმენა კარიერულ ზრდაზე, მოტივაციაზე, წარმატებაზე, კარიერის დაგეგმვაზე დ ა შ. “წარმატების კუთხეში” გაიმართება ახალგაზრდების შეხვედრები კითხვა-პასუხის ფორმატში სპიკერებთან და კომპანიების წარმომადგენლებთან.

ღონისძიების დასასრულს, გაიმართება ფესტივალის დახურვის ცერემონია-კონცერტი.

JOB fest-ყოველწლიურად ჩატარდება.

განრიგი (ზუსტ განრიგს მოგწერთ მოგვიანებით):

1. ფესტივალის გახსნის ცერემონია, მისალმება
2. ახალგაზრდებისა და დამსაქმებლების შეხვედრა
3. „წარმატების კუთხეში“ სპიკრებისა და ახალგაზრდების შეხვერდა
4. ფესტივალის დახურვის ცერემონია-კონცერტი

რეგისტრაცია კომპანიებისთვის და სტუდენტებისთვის

ფესტივალზე დასასწრებად კომპანიები და სტუდენტები წინასწარ გაივლიან რეგისტრაციას.

კომპნიების რეგისტრაცია JOB fest 2017-ზე:

ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად, კომპანიები რეგისტრირდებიან მხოლოდ ამ სააპლიკაციო ფორმის მეშვეობით: https://goo.gl/0FfWH5

კომპანიების რეგისტრაციის შემდეგ, www.Studentjob.ge -ზე გაკეთდება სპეციალური გვერდი, სადაც განთავსდება მონაწილე კომპანიების შესახებ მოკლე ინფორმაცია და ფესტივალზე წარმოსადგენი ვაკანსიების დასახელებები (როგორც საზაფხულოდ ასევე, სურვილის შემთხვევაში გრძელვადიანიც).

სტუდენტების რეგისტრაცია JOB fest-ზე:

JOB fest-ში მონაწილე კომპანიებისა და მათი ვაკანსიების შესახებ, ინფორმაცია სტუდენტებისთვის წვდომადი იქნება www.worknet.gov.ge - ზეც (სპეცილურად ფესტივალისთვის შეიქმნება სარეგისტრაციო კატეგორია - JOB fest), სადაც სტუდენტები: დარეგისტრირდებიან ფეტსივალზე, შეარჩევენ კონკრეტულ კომპანიას, ვაკანსიებს და ფესტივალზე პირდაპირ მათ მიერ შერჩეულ კომპანიასთან/კომპანიებთან მიზნობრივად მივლენ, შეხვდებიან და გაესაუბრებიან.

ახალგაზრდები ფესტივალზე მიიტანენ ამობეჭდილი რეზიუმეებს ან ადგილზე შეავსებენ კომპანიების სააპლიკციო ფორმებს.

www.worknet.gov.ge -ზე რეგისტრაციის ბოლოს ახალგაზრდები მიიღებენ ფესტივალზე შესასვლელ ელექტრონულ საგზურს, რომელსაც წარადგენენ ფესტივალის სივრცეში შესვლისას ელექტრონული ან ამობეჭდილი სახით. ახალგაზრდები ფესტივალზე უნდა გამოცხადდებიან საგზურით, პირადობის მოწმობით და პირადი რეზიუმეთი (რამოდენიმე ეგზემპლიარით).

ამ გზით, სტუდენტებსა და ახლად კურსდამთავრებულებს შეეძლებათ წინა საფესტივალოდ კომპანიების გაცნობა, ვაკანსიების წინასწარ დათვალიერება, შერჩევა, და ფესეტივალზე კი მათთვის საინტერესო მიზნობრივ კომპანიას შეხვდებიან (ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად, სტუდენტების სარეგისტრაციო ფორმა განთავსდება www.worknet.gov.ge -ზე).

ღონისძიების ჩატარებამდე, HR hub დაგეგმავს წინა სამუშაო შეხვედრას მონაწილე კომპანიებთან, სადაც დეტალურად გაგაცნობთ ფესტივალის პროგრამას.

როგორ მივიღოთ მონაწილეობა JOB fest 2017-ში?

1. მითითებული ლინკის მეშვეობით დაარეგისტრირეთ კომპანია ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად. კერძოდ კი, შეავსეთ ეს აპლიკაცია, რომლის მეშვეობითაც დაადასტურებთ ფესტივალში მონაწილეობის მიღებას: https://goo.gl/0FfWH5
2. 25 ივნისისთვის, ფესტივალზე თქვენი კომპანიისთვის განკუთვნილ კუთხეს(კარავი) მოაწყობთ თქვენი შეხდულებისამებრ
3. კომპნიებისთვის ონლაინ რეგისტრაცია დაიწყება 17 მაისს და დასრულდება 31 მაისს 00:00 საათზე. https://goo.gl/0FfWH5

ფესტივალში მონაწილეობის მიღება ფასიანია?

ფესტივალში მონაწილეობის მიღება როგორც კომპანიებისთვს, ასევე სტუდენტებისა და ახლად კურსდამთავსებულებისთვის, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების, ორგანიზაციებისა და კომპანიების მხარდაჭერის შედეგად, **უფასოა.**

ფესტივალთან დაკავშირებული სიახლეები განთავსებდა www.hrhub.ge ზე. ასე რომ, ადევნეთ თვალი ვებ-გვერდს და არ გამოგრჩეთ სიახლეები!

უფრო მეტ დეტალსა და ღონისძიების განრიგს, უახლოეს მომავალში გაცნობებთ.

HR hub

StudentJob.ge

JOB FEST 2017

გაიცანი გაეცანი იპოვე
სტუდენტური საზაფხულო დასაქმების ფესტივალი

#HRhubLovesYou

მადლობა ურთიერთობისთვის!